დავით ცხადაძე
თინათინ ცერაძე

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

„ოქროს ოთხთავი“ იერუსალიმის წმ. საფლავის ეკლესიის საგანძურიდან

იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის მრავალ საგულისხმო შედეგს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მაცხოვრის საფლავის საგანძურში დაცული ჩვენთვის აქამდე უცნობი ქართული ოთხთავის აღმოჩენა. ცნობა ამ ხელნაწერის შესახებ მოთავსებული იყო ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ დამზადებულ მიკროფილმთა ნუსხაში. აქვე აღნიშნული იყო, რომ ხელნაწერი გამოირჩეოდა მდიდრული მორთულობით – იგულისხმებოდა მინიატურათა დიდი რაოდენობა. აღნუსხული იყო ორმოცდაშვიდი მინიატურა, თუმცა აღმოჩნდა ორმოცდარვა.

დღიდან ექსპედიციის იერუსალიმში ჩასვლისა ვცდილობდით ხელნაწერის მოპოვებას და მუშაობის დაწყებას, თუმცა ამის საშუალება მხოლოდ შინ დაბრუნების წინ, ისიც მეტად შეზღუდული დროით მოგვეცა. მოხერხდა ორმოცდარვავე მინიატურის სრული ფოტოფიქსაცია და ტექნიკური აღწერილობის ჩატარება. ამასთან, როგორც მოსალოდნელი იყო, მასალაზე მუშაობისას წარმოიშვა უამრავი კითხვა და პრობლემა – უშუალოდ ოთხთავზე მუშაობის არასაკმარისი დროის გარდა, გასათვალისწინებელია თვით ხელნაწერის სირთულე და პრობლემატურობა.

1. „ოქროს ოთხთავი“. მარკოზი. (ფოტო დ. ცხადაძის)

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერისათვის სახელი – "ოქროს ოთხთავი"– მაცხოვრის საფლავისათვის მის შემომწირველს, ქართველ დიდებულს გიორგი აბაშიძეს შეურქმევია. ასე იხსენებს იგი ოთხთავს ზედვე დართულ ანდერძში:

"შონა ღმრთისაი აბაშიძემ გიორგი და თანა მეცხედრემან ჩემმან, ლორთქიფანიძის ასულმან გულქან შემოვწირეთ ქრისტეს საფლავს პატიოსანი ოქროს ოთხთავი ჩუენის ცოდვილის სულის საოხად და ძისა ჩუენისა ლევან, ბეჟან და მალაქიას აღსაზდელად წარსამართებელად. ვინც ეს ჩუენთვის ქრისტეს საფლავის მიტანა მოშალოს, ჩუენის ცოდვის პასუხის მიმცემი იყოს, ოდეს ქრისტე მსაჯულად მობრძანდეს. ვინც ამ სახარებას იხმარდეთ, ღმრთის მადლს, შენდობასა ბრძანებდეთ ჩუენთვის" (ოქროს ოთხთავი, 414 r). გიორგი აბაშიძისა და მისი მეუღლის გულქან ლორთქიფანიძის დაკვეთით შესრულებულ არაერთ ხელნაწერს, ნაქარგობასა და მოჭედილ ხატებს შორის ამ ხელნაწერს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იერუსალიმის წმ. აბრაამის მონასტერი 1700 წელს მათივე "წარსაგებელით" არის აშენებული.

უნდა ითქვას, რომ ხელნაწერი სრულად ამართლებს შერქმეულ სახელს. ჩანს, შემ-

2. „ოქროს ოთხთავი“. ჯვრიდან გარდამოხსნა.
(ფოტო დ. ცხადაძის)

3. „ოქროს ოთხთავი“. ქორწილი კანაში.
(ფოტო დ. ცხადაძის)

4. „ოქროს ოთხთავი“. პეტრეს უარისყოფა.
(ფოტო დ. ცხადაძის)

5. „ოქროს ოთხთავი“. ბრმის განკურნება.
(ფოტო დ. ცხადაძის)

6. „ოქროს ოთხთავი“. სიმონი ჯვრით.
(ფოტო დ. ცხადაძის)

7. „ოქროს ოთხთავი“. მირქმა.
(ფოტო დ. ცხადაძის)

8. „ოქროს ოთხთავი“. ფერისცვალება. (ფოტო დ. ცხადაძის)

ქმნელებს იმთავითვე უზრუნიათ ოთხთავის მდიდრულად მორთვაზე. ამაზე არა მხოლოდ მინიატურათა სიმრავლე, არამედ გამოყენებული მასალა და შესრულების მაღალი დონეც მეტყველებს. მდიდრულ სახეს სრულიად განაპირობებს უხვად გამოყენებული ოქრო. მას იყენებს როგორც მხატვარი, ასევე გადამწერიც. სათაურებისა და საზედაო ასოების გარდა, ოქრომელანი გამოყენებულია თითოეული თავის

9. „ოქროს ოთხთავი“. ნათლისღება. (ფოტო დ. ცხადაძის)

დასაწყისისა და დასასრულისათვის, აგრეთვე ტექსტის შიგნითაც, საუფლო დღესასწაულთა აღწერისას. რაც შეეხება მხატვრობას, უკლებლივ ყველა მინიატურის ფონი ფურცლოვანი ოქროთია დაფარული. ალბათ ცხადია, თუ რატომაც ეწოდა ხელნაწერს "ოქროს ოთხთავი".

ხელნაწერი ნაკლულია. ამჟამად ოთხთავი მოიცავს ზედმიწევნით კარგად დამუშავებული ეტრატის 414 ფურცელს; ნაწერია ორ სვეტად, ნუსხურით.

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას "ოქროს ოთხთავი" მასში მოთავსებული მრავალრიცხოვანი მინიატურებითაც იმსახურებს. როგორც ზემოთ ვთქვით, ხელნაწერი 48 მინიატურას მოიცავს. მინიატურების ზერელე დათვალიერებაც კი ცხადყოფს, რომ ოთხთავი ორ ოსტატს მოურთავს. ერთი მათგანი ავტორია 34 მინიატურისა, ხოლო დანარჩენი 14 მეორე ოსტატის მიერაა შესრულებული. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ავტორი უაღრესად მაღალი დონისაა. პირველივე სირთულე სწორედ ორი ოსტატის არსებობასთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ჩნდება კითხვა, არის თუ არა მხატვრობა ერთ დროს შესრულებული; თუ არის, რით აიხსნება ორი ხელწერის იმთავითვე ცხადი და პრინციპული სტილისტური სხვაობა, დროითი სხვაობის შემთხვევაში კი, როგორი ინტერვალია მათ შორის? ორივე ოსტატის მიერ შესრულებული მინიატურები ერთმანეთს ენაცვლება. ამ ეტაპზე ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა პრინციპით ხდება სამუშაოს განაწილება. ხელნაწერთა შემკულობის ისტორიაში საკმაოდ მოგვეპოვება მაგალითები ორი და მეტი ოსტატის თანამშრომლობისა, თუმცა მათ ხელწერათა შორის სტილისტურ თუ დროით-ეპოქალურ სახესხვაობებზე საუბარი ძნელია.

პირობითად პირველი, რომლის ფუნჯსაც მინიატურათა უმეტესობა – 34 ეკუთვნის, შეიძლება განვიხილოთ ტრადიციული ხელწერის მქონე მაღალი დონის ოსტატად, ისეთად, რომლის მსგავსი უკვე გვინახავს და რომელთა შემოქმედება ძნელად თუ გადმოსცდება XV-XVI საუკუნეებს. ამგვარი ვიზუალური ანალოგიების არსებობის მიუხედავად, ამ ოსტატის პროფესიონალიზმი რაიმე ეჭვს არ ბადებს. მის ხელწერაში იგრძნობა დიდი გამოცდილება და დახვეწილი გემოვნება, ასევე ხელნაწერის მოსახატად აუცილებელი ცოდნა (ვგულის-

10. „ოქროს ოთხთავი“. იერუსალიმად შესვლა. (ფოტო დ. ცხადაძის)

ხმობთ კანონებს, იკონოგრაფიას და ა.შ.). ამდენად, ამ დონის ოსტატის არსებობა და მის მიერ უმეტესი სამუშაოს შესრულება საეჭვო არაა.

სირთულე მეორე ოსტატის არსებობასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად მის მიერ შესრულებულ მინიატურათა გაცილებით მცირე რაოდენობისა – 14, იგი ნამდვილ აღმოჩენად შეიძლება მივიჩნიოთ. შესრულების არაორდინარული მანერა, სცენათა თავისუფალი ინტერპრეტაცია და განსაკუთრებული ემოციური მუხტი გახლავთ პირველი და ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც იგი მნახველზე ტოვებს. ასევე უნდა აღინიშნოს ერთი შეხედვით გაჩენილი "არაპროფესიონალურობისა" თუ "დილენტანტურობის" შთაბეჭდილება. ამგვარ განწყობას პირველ ოსტატთან თანამეზობლობა განაპირობებს. თუმცა ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა.

გარდა ფორმალური ერთგვაროვნებისა (გვერდის სრული დატვირთვა, საერთო ოქროს ფონი, გამოსახულების ჩარჩოში მოთავსება) ამ ორ ოსტატს სხვა არაფერი აკავშირებს. მეტიც, იგივე ოქროს ფონი მეორე ოსტატისათვის არ არის ფერი, რომელიც მხოლოდ დარჩენილ არეს ავსებს. იგი აშკარა ემოციური თუ დინამიკური მუხტის მატარებელია. ასეთი მაგალითები მრავლადაა, იქნება ეს ხაზი, ფერი თუ ფორმა, რომლის განსაკუთრებულ უჩვეულო ინტერპრეტაციას გვთავაზობს მეორე ოსტატი. ამდენად, ზუსტი დათარიღება მეორე ოსტატის მოღვაწეობისა საკმაოდ რთულდება. აქ მხოლოდღა გ. აბაშიძის ანდერძის არსებობა თუ დასვამს ზედა ზღვარს, და საფიქრებელია, რომ მისი შექმნა არ უნდა გადასცდეს XVI საუკუნეს.

ამასთან, ჩვენთვის ცნობილ ამ პერიოდის და უფრო გვიანდელ ე.წ. ხალხურ ნაკადად წოდებული ხელნაწერებიდან მეორე ოსტატის ხელი უდავო პროფესიონალიზმითა და დახვეწილობით გამოირჩევა, რაც ასევე გარკვეულ დროით ზღვარს წარმოადგენს.

შემდგომი კვლევა გარკვეული პარალელური მასალის მოძიების გზით უნდა გაგრძელდეს, რათა ხელნაწერი შეძლებისდაგვარად უფრო ზუსტად დათარიღდეს. ამასთან, პრობლემა გაცილებით ფართოდ იშლება თუ მინიატურებს ერთ ხელნაწერში არსებულ დროითი სხვაობის მქონე ორ ნიმუშად განვიხილავთ. ამგვარი მიდგომა მეტად საინტერესოდ გვეჩვენება, რადგანაც მსგავს პრობლემებს ვხედავთ გვიანი ხანის ქართული ხელოვნების სხვა დარგებშიც, რომელთა განსხვავების მიუხედავად პრობლემა ერთგვაროვნად გვესახება. ამრიგად, ამგვარი ხელნაწერის მიკვლევა და მისი შემდგომი შესწავლა განსაკუთრებული მნიშვნელობისა გვგონია.

11. „ოქროს ოთხთავი“. დატირება. (ფოტო დ. ცხადაძის)